

F 15  
1909

1909 წ. გამოც 7.

ფასი კველგან 10



იუმლ. ალმანახი



# ეშვაბის მათრახი

ალმანახი გამოდის მაშინ, როცა ეს მოსახურებული იქნება გამომცემლისათვის. ხელის-მოწერა არ მიიღება. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: ტიპოგრაფია T-ვა «შრომა» და ალმანახი.



## მრევდის აღზიმებენ.

„შინაურ საქმეს“ ჩავხედე  
(ქუთაისს ცხვება, რომელი,  
სალფოს-მეტყველო გაზეთი  
სისულელ-განუზომელი)


და გულს ეამა ჩახედვა  
სახელდა-ხელო, უცები...  
მრევლს აღვიძებენ, (გაიგეთ?!)  
მრევლს აღვიძებენ ხუცები,  
იმ დაწყევლილმა „ერთობაშ“  
ხალხს დაუბნია კვალიო,

სარწმუნოების ქურუმებს  
მრევლმა იღაბყრო თვალიო

კუპი დაიდგა ხატადა  
მას ანაცვალა სულიო,  
გაირყვნა, ურწმუნოებით  
გაუღენთილ-გაბაწრულიო,  
არ ზრუნავს საიქიოზე  
ტქბილს ედემს იღარ ეტრფისო,  
და მართალ სიტყვას, თუ არ ჩვენ  
აბა სხვა ვინალი ეტყისო.  
გამოიღვიძეთ, მომშენო,  
ზეცას მიაბყარ თვალები

სულს ანაცვალეთ, შეწირეთ  
თქვენი ხორცი და ძვალები.

გამოიღვიძეთ...ჩვენზედაც  
გამოიბრუნეთ გულები  
ნუღა გვაჩივლებთ, მოგვეცით  
ოხერი ღრამის ფულები...  
გამოიღვიძეთ, მოყვასნო,  
ერწმუნეთ ჩვენსა სიტყვასა,  
გაიღეთ შესაწირავი  
სული რომ ზეცად მიყავსა.



## ორი ეშმაკი.

რაც მართალია, მართალია!

**პირ.** ეშმაკი. სასტიკი განაჩენია რჯულის მაღლმა: ჩაცივდენ, კაცი ამ გვაზავის და ოლარ ძლევენ საშველს: კაცი დაიცო, ხომ არ დაუსჯია!!

**მეორე ეშმაკი.** მეც მიკვირს, უენა გაზრდამ, აქაო და ქართველი პატრიოტია, მერმე ქართველმა პატრიოტმა რუს პატრიოტს არ უნდა გაუწიოს დახმარების ხელი?! ეგ სადაური კანონია თქვენმა მზე!

**პ. ეშმაკი.** ჩემის აზრით, საუკეთესო ვექილითაც უნდა ჩითვალოს, რადგან რაც სხვა ვექილებმა ვერ შესძლეს, ის მან, გვაზავამ მოახერხა...

**პ. ეშმაკი.** არა, ეს კი შეცდომა იქნება... საქმე შეძლებაზე კი არ ყოფილა, საქმე კადრებაზე იყო და კაცი უველავერს რომ იკადრებს, ესეც დიდი ღვთის წყალობაა. მე ძლიერ მძულს უკადრისი აღამიანი.

**პ. ეშმაკი.** არც მე მიყვარს, მართალი მოგახსენო.

**პ. ეშმაკი.** ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის კაც-მოყვარეობა, რომელიც გვაზავამ ჭიათურელი პრისტავის დაცვის ღრმოს გამოიჩინა.

**პ. ეშმაკი.** სწორეთ თავ-განწირულია მოყვასთაოვის... რაც მართალია, მართალია!.. რას ერჩოდენ იმ პრისტავს?

**პ. ეშმაკი.** აბა, რა ვიცი; მოუდვეს შარები, აქაო და ვიღაც გლეხს წვერები დააგლოვა; ზოგს მათრახებით ტყავი ააძროო, ზოგს კიდევ რა დღე არ დაა-ყენო.

**პ. ეშმაკი.** მერე გლეხების გულისთვის მისცეს სამართალში? ოჲ, ძალნო ჯოჯოხეთისანო, როგორ გაირყვნა ქვეყანა!

**პ. ეშმაკი.** მისცეს ხომ მისცეს, მარა, მოგეცა სიცოცხლე, გიორგი გვაზავამ ის გამართლა. „ბატონებოო, — უთხრა სუდის, — წვერში რომ სტაცია ხელი პრისტავმა, მოსაგლეჯათ როდი უტაცნია, ის დარცებას ძლევდაო, და მათრახი თუ ვისმე დაპკრა, ისიც აღმართ მათრახის გასინჯვა უნდოდა, რადგან მეუნიგრები ახლა ძლიერ ცუდი ლირსების მათრახებს „ტყუებენ მყიდველებს“.

**პ. ეშმაკი.** ოი იმას კი ვენაცვალე ენის კლიტეში და ცილინდრის კუნკულში. მოდი ახლა და ენდვე შენ ვინმეს: ასეთი ნაკურთხი დამცველი რომ არ გამოსხენოდა, კეთილ-შობილ ბოქაულს ვიღაც ვიგინდარა გლეხების წვერებისაც კი ჩაგდებდენ.

**პ. ეშმაკი.** ნასწავლი კაცი ამიზაა კი ჩემო ძალია: ისე დააჭიხრაკებს ენას, რომ თუ გინდა ყორანს გაათეთრებს. კედია ისე გასპერაკა, რომ მერე კინაღამ ღენერალ-ღებერნატორობა მისცეს.

**პ. ეშმაკი.** ქანქარისაც ბლომათ ააკრივდა ხალხის სიმპატიაც დაიმსახურა.

**პ. ეშმაკი.** ქანქარი სად ექნებოდა საწყალ ბოქაულს! მეტადრე იმ ღრმას, როცა მთელი ჭიათურა მის ინაბარა იყო მიტოვებული. სიმპატია კი ღიღი მოიხვევა. ამბობენ, ჭიათურის მოქალაქეებმა აღრესი მოართვესო.

**პ. ეშმაკი.** ახლა ვის იცავდა?

**პ. ეშმაკი.** ვისა და ვისი დაცვაც სხვას არ უკადრებია, თუმცა არა მჯერა უკველივე ეს. თფილისის ვექილატურა არც ისე ღარიბია გვაზავური ვექილებით რომ ის მარტო დარჩენილიყო.

**პ. ეშმაკი.** არა, შენ ის მითხარი, ვის იცავდა?

**პ. ეშმაკი.** ვის იცავდა და ყოფილ გამგეს სახაზინო თეატრისას. რაღაც „ნედორაზუმენი“ მოსკოლდა ერთ მუშაონ და ამაზე ამდგარიყო ხათაბალა.

**პ. ეშმაკი.** რა ხათაბალა, აღმართ უბრალო რამე იქნება.

**პ. ეშმაკი.** სრულიად პუსტიაკი. მუშა შეივანა თურმე ოთახში; მერმე მოისმა თურმე ყვირილი; მერმე ლაშანის ხმა და მერმე ოთახიდან მუშა გიმოასვენეს; საწყალი შიშით მოკვდარიყო. თურმე დანარტყამის ნიშანი კი ეტყობოდა, მაგ-

რამ მაინც შიშითა და სისტემიკურ კვდარიყო.

**პ. ეშმაკი.** მერე ერთი მუშის გულისათვის შეაწუხეს ის პატიოსანი კაცი?

**პ. ეშმაკი.** ვინ შეაწუხებდა, შე დალოცვილო, რომ ვიღაც ლევან ყიფიანს არ ჩაეგდო ეს ამბავი გაზეოში. პოლკოვნიკმაც იწყინა, როგორ თუ ერთი მუშისათვის გაზეოში ჩამაგდესო და ლევან ყიფიანს „ატვეჩაი“ მოსთხოვა.

**პ. ეშმაკი.** ოჲ, ძალნო ჯოჯოხეთისანო, როგორ გაირყვნა ქვეყანა!

**პ. ეშმაკი.** იქით ეცა პოლკონიკი, აქეთ ეცა, მაგრამ ღირსეული კაცი ვერ მონახა. უცებ გაახსენდა გვაზავა და ეცა მას: შენი ჭირიმე გიორგი, ერთი მავი ლევან ყიფიანი ჩამიჯინე ციხეშიო. ძლიერ კარგი, ბატონო ჩემოო და იყისრა უკისებელი.

**პ. ეშმაკი.** კი, მარა, ია კარგარეთელი რა შეაშია, რომ ისიც გაურიეს შიგ?

**პ. ეშმაკი.** ის მკვლელობის განზრახვაც ირკვეოდა თურმე, მარა, გიორგიმ ისე მოაწყო საქმე, რომ ყველაფერს სიბნელის კალთა დააფარა. ამასთანავე უნდა იცოდე, რომ ამ საკითხში ეშვაკიც ბევრს ვერაფერს გაარჩევს.

**პ. ეშმაკი.** რაც მართალია, მართალია, გვაზაური საქმე ეშმაკსაც კი დაუბნებს კვალს.

**პ. ეშმაკი.** რა მაგის პასუხია, თეატრში იყავი?

შირველი. ვიყავი.

მეორე. მობრუნდი!

შირველი. (მობრუნდება და ზურგს უჩვენებს).

მეორე.. ეცვი არ არის, რომ ყოფილხარ. ზურგი მეწისქვილესავით გათეთრებული გაეცს. რა ნახე?

შირველი. მტერმა ნახოს მე რომ ვნახე! მეორე. რა იყო? ხომ არ „გვიღალატეს?“.

შირველი. გვიღალატეს და როგორ? სხვას თავი დავანებოთ და სუმბათაშვილმა რომ გაიგოს შენი მტერია ქართველობაზე ხელს აიღებს.

მეორე არტისტები ხომ კარგათ თავაშობდენ?

შირველი. საუცხოვოთ. მეტის მეტარილიკულათ.

მეორე. ზეინაბი ხომ კარგი იყო?

შირველი. რა გიორგი, სიტყვებს ისე აქერდა ბოლოს, ისე მაგრათ ამბობდა, რომ ძლიერ ტრალიკული გამოდიოდა.

მეორე. იშხნელმა მიინც ვერ გამოაკეთა წამხთარი საქმე?

შირველი. ისე გამოაკეთა, რომ თუ ის არა, შენი მტერია უველანი შერცხვებოდენ.

მეორე. აკი ვამბობდი კარგი არტისტი არის მეთქი? შენ კი არ გჯეროდა. ხომ კარგათ ითამაშა?

შირველი. საუცხოვოთ.

მეორე. ძალიან შედიოდა როლში?

შირველი. ძალიან. სადაც მაგარი ადგილებია იქ მაგრათ ხან თავს შეიფხანდა და ხან ყურს.

მეორე. საუცხოვო იქნებოდა ის, როცა ზეინაბი უმხელს, რომ მისი შვილი ცოცხალია.

შირველი. ისეთი იყო, ისეთი, რომ მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ერთი ისეთი დაიკუთა ტრალიკულია, რომ მისი სიცოდვით მთელი ხალხი დაიწვა. მე ცრემლები ველარ შევიმიგრე.

მეორე. ყოჩალ ბიჭი! ხომ ვამბობდი კარგი არტისტი არის მეთქი. საზოგადოთ ძალიან ეფექტიანათ ჩაივლიდა წარმოგვნა.

შირველი. სამაგალითო იყო, როცა ზარის ხმა გაისმა ისეთი რიხინ-რიხინი დააწყებინეს დამტვრეულ ტასტს, რომ ტანში ქრუანტელმა დამიარა, ნერვები ამეშალა.

მეორე. ყველაზე უკეთესი მეტების აფეთქება იქნებოდა.

შირველი. ეჭვი არა. ბარე ასი ფუთი ტყვია წამალი დახარჯეს, მთელი ხალხი კვამლში კინაღამ გამოახრჩეს და მეტები კიდევ ისე ამაყათ იდგა. ბოლოს დაასის ათასი კაცი და სალდრის გუმბათი ძლიერ გადააგდეს.

მეორე. კაი ყოფილა!

შირველი. კაი დაგემართოს!

მეორე. კიდევ როდის მიღისარ?

შირველი. როცა ზურგს გავიწმენდ.

ჯერობით აქა ვარ გამწესებული სამოქმედოთ.

უეჭველია, ბუნებრივი ნათესაობით აიხსნება ის გარემოება, რომ მე ძლიერ მიყვარს ხოლმე იმ ადგილებში და დაწესებულებებში გასეირნება, სადაც ბლობათ არიან მუშები.

ამიტომაც იყო, რომ უპირველესი „ვიზიტი“ რკინის გზის დეპოს პარკს გავუკეთე. ყველაფერი წყნარათ გახლდათ. მუშები ხმის ამოულებლივ ასრულებდენ თავიანთ ვალს და მხოლოდ იმაზე ფიქრობდენ, თუ როდის დაპკრავდა საყვირი, რომ მოსულიყო დრო ბახუსით შეხურებისა და კარტის თამაშისა!..

თვით დეპოში კი რამდენიმე მუშაორთ ქლ-მავალ ქვეშ შემძებალიყო და აქედან ლამობდა სამუშაოდან გაპარებას... .

აქ მეტი, საყურადღებო არაფერი შემინავს, ხოლო სახელოსნოსკენ არ წიგსულვარ.

დარწმუნებული ვარ ოლდას საბებიო ინსტიტუტი მოგეხსენებათ, მაგრამ რაც იქა ხდება არა მგონია მოგეხსენებოდეთ... ის კი გართალია—დიდი იმდენი არაფერი: ჩვეულებრივ კარტის და სხვა მისგარების თამაში, შემდეგ დამწუხრებულ თუგახარებულ გულზე ნუნუას გადასხმა და სხვა ამგვარები, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა იცოდეთ. ამასთან, როგორც გავიგე, გაზეთისა შინებიათ თურმე ძლიერ, ისე რომა, ახლოსაც არ ეკარებიან მასაო, როგორც ოსმანა თათარი ლორის ხორცისაო. (იქონიეთ სახეში, რეაქციონერი ოსმანა და არა კონსტიტუციონისტი!) .

არა ნაკლები ამბავი დატრიალებულა თფილისის საპარიკმახეროში მოსამსახურე მუშათა შორის. წარმოიდგინეთ, ერთი ნაწილი „გაკაპიტალისტების“ გზაზე დამდგარა. და როცა საქმე ასეა მისულა რალა დროსია მაშინ სხვა რამეზე ფიქრი, —როგორც მაგ., კავშირი, უმუშევარი ამხანაგები, გაზეთი, წიგნი და სხ. ? ასეთ დროს მედგრათ უნდა ამოუდევე ხაზენის გვერდში და იბრძოლო „მამაშვილურათ“ მასთან ერთად, რომ ჩეარა დადგეს ნეტარი დღე და ეს კიდევ შეუუნია ერთ ნაწილს აღნიშნული მუშებისას!.

ლმერთმა ხელი მოუმართოს მათ, თუ „ეშმაქმა“ არაფერი ავნო თავის მათრახით. ეს კი ჩემი საქმე არ არის!

ავლაბრელებს კულტურულ საქმეში მართლაც რომ არ სწყალობს ბედი. ჰქონდათ ერთი თეატრი, —დაიწვა. ააშენეს ახალი, მშვენიერი, „ლოგებ-გალერეინი“,

ვიღაც სანიკიძე „ფულს არ ჰიგაზურითავა“ თურმე, რომ თეატრი შესაფერი ყოფილიყო! აშენდა კიდეც ლომაზი, კოხტა; დაიწყო წარმოდგენები, შესდგა „ქართული დასი“, მაგრამ... წაომოიდგინეთ, —გაჩნდა კვლავ ცეცხლი და... ავლაბარი კვლავ უთეატროთ დარჩა.

ეს, მართალია. არც ისე ახალი ამბავია, მაგრამ მე უფლება მაქვს ახლათ გავასაღო, ვინაიდან ამის შესახებ ირა რა თქმულა ჩვენს გაზეთებში. გასაკირალი კი! თუ აშენებაზე იმდენი ილაპარაკეს, დაწვაზე ერთი ორი-ლერი „სამგლოვიარო“ სიტყვა კი უნდა გაემეტებიათ!..

\*

ის იყო, ზემო მოსხენებული ამბები დაფაგროვე და მივღიოდი საჯაც ჯერ არს მოსახენებლათ. მაგრამ შემთხვევით „სორაპის“ სტამბაში მომიხდა შესვლა. ეს, რასაკირველია, არც იმდენი საყურადღებოა, მაგრამ, მე მართალი გითხრით, ძლიერ დამაინტერესა იმ „ჩხუბმა“, რომელიც იქ „ჩამოეგდოთ“ რამდენიმე მომუშავეთ და რომელსაც შემთხვევით წავაწყდი. გამოძიებამ, რომელიც ეშმაკის სახელით მოგანდინე, აღმოაჩინა, რომ ასეთი „ჩხუბი“ ხშირათ იმართება თურმე და ჩხუბს სხვა და სხვა გვარ სიტყვებით შემკული ლაპარაკიც მოჰყვება ხოლმე. მე ამაში, რასაკირველია ცუდს არაფერს გხედავ, „ეშმაკისა“ კი რა მოგასხნოთ... ეშმაკის მოციქული.

## ღალატი.

(ფარდის ახდის ღროა. კულისებში დიდი ჯახაჯუხი და ყვირილია. ფარდა აიხდება. სცენა ცარიელია. კულისებში ხმაურობა თან და თან მატულობს. კარები იღება და სცენაზე გამოვარდება ვალერიან ხანი. ხელში მსხვილი თყვი უჭირავს და ვიღაცას თავ-გამოდებით ეწევა სცენისკენ).

გაღერდიან ხანი. (ბრაზიანათ) გამოდი, შე სავერანე! გამოდი!

რეგაბარდ. (თავს გამოყოფს ლოეიდან და ყარამან ყათილივით გავკივის) მოაწექით, მოაწექით! მისცეთ პანლური!

გაღერდიან ხანი. (უკანასკნელ ღონეს მოიკრევს და ეწევა თოკს. უცბათ სცენაზე გამოხტება იშხნელ ბეგი. ვალერიან ხანი თავს ვეღარ შეიმაგრებს და პირალმა გადიქცევა. იშხნელ ბეგს უკან მოსდევს მთელი ტრუპა და ოჩან ჯორივით ერეკებიან. მის დანახვაზე „პუბლიკა“ აღტაცებაში მოდის. ტაშის ცემას საზღვარი არა აქვს).

იშხნელ ბეგი. (მეტის სიამოვნებისაგან განხევ გადგება და პატარა ბავშვივით გაიბუტება. ხან ვალერიან ხანს შეხედავს



## მოხსენება თფილისიდან.

კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ,—რომლის მიხეზი ეშმაკს მოეხსენება—კვლავ მინდა ჩვეულებრივი მოხსენებით ვასიმოვნო ჩემი მოხსუცებული აღმზრდელი. რასაკვირველია, მოხსენება თფილისის სხვა და სხვა გნელ და ნათელ კუნკულებიდან იქნება, ვინაიდან მე, როგორც იცით, ჯერ-

და ხან ძირს იყერება. ბოლოს შუბლი-დან ოფლს მოიწმება და სამინიჭოთ ამოიხვენებებს) უჲ! მამ... გაი! ოჲ!.. (გაჩერდება ჯორივით).

სუფლითორი. (უყვირის) გაადგი ფეხი, წადი ვალერიან ხანისკენ!

აშხელ ბეგი. (ამოიხვენებებს მარჯვენა ფეხს განხე გადგამს და ვალერიან ხანს შეხედავს) გაადგი ფეხი... ის... მამ...

სუფლითორი. (ნახევრით გამოძრება ბუდეიდან და უყვირის) გაჩერდი! უკე-ლითერი, ჩემი სიმღიდრე, სიამაყე, პა-ტიონსნება შემოვიტანე შენს ციხეში...

აშხელ ბეგი. (ტრალიკულათ თვალებს დახუჭავს და მარჯვენა უქრს გაანძრევს) უკელაფერი შემოვიტანე შენს... იმაში... იმაში.

გადერიან ხანი. (გაბრაზებული მივარ-დება და უქრს აუწევს) ციხეში!

აშხელ ბეგი. (ტრალიკულათ ტირილს დაიწყებს) იმაში... იმაში...

სუფლითორი. (ღრიალებს) ციხეში!.. ციხეში!

აშხელ ბეგი. (ტრალიკულათ) ციხეში, ციხეში...

გადერიან ხანი. (გაჯავრებით ქოქო-ლის აკრის) მეხი კი დამათხლიშე თავზე!

აშხელ ბეგი. (ძალიან ტრალიკულათ თავს შეიფხანს) მეხი კი დამათხლიშე თავზე!

სუფლითორი. სუ! ჩუმათ!

აშხელ ბეგი. სუ! ჩუმათ! (პუბლიკა ალტაცებაშია. ვალერიან ხანი სიბრაზით კბილებს გააძრებიალებს და გარბის. შე-მოდის ზეინაბი. იშხელ ბეგი ტრალი-კულათ ხმლის კუდს გაანძრევს და გა-ივლ-გამოიგლის).

ზეინაბი. (სიტყვებს მეტის-მეტათ ტრა-ლიკულათ და მაგრათ იმბობს, იშხელ ბეგი ორივე უურებს ანძრევს) ჩემი შვი-ლი ცოცხალია...

აშხელ ბეგი. (ტრალიკულათ დაიკუ-თებს) უჲ! (ამ დროს კულისებში დამტ-ვრეულ ტაშტს კეტს დაკრავნ და საში-ნელი ხმა მოისმის. იშხელ ბეგი ტრა-ლიკულათ შეკროება და კისრის ტეხით გარბის კულისებში. ლოერიდან რეერს-რი გადმოხტება, ბუდეიდან სუფლითორი და ორივე დასაქერათ მისდევენ იშხელ ბეგს. პუბლიკა მრავალგზის ტაშს უკრავს, ფარდა ეშვება. ჩეცენზენტები დაეზი-ბით თხოულობენ იშხელ ბეგს. ბოლოს ის გამოდის ტრალიკულათ და მადლო-ბის უხდის ყველის) გილალატე, გილალატე!

—n.

## ქართველი მოდევწევისი.



დირსი მამა

## სვიმონ მწერლიმე.

წინასწარი.

სისულიერო პირთა სიუბვით განთქმუ-ლია კურთხეული ქვეყანა ჩვენი, მაგრამ თვინიერ ამისა დღემდე ჩვენს ისტორიულ გამოკვლევათა ბადეს არ მოხვდა არცა ერთი მათგანი, რაიცა დიდ დასაკლისად უნდა ჩაეთვალოს მესტორიესა ჩვენსა, რისთვისაც ახალი წლიდან ვეცდებით აქაც მოვნახოთ ღირს სასურველი პირნი და მით ახალ-ახალი ცნობები შევმატოთ დარიბსა ჩვენსა ისტორიასა.

ბავშვობის ხანა.

სვიმონ მწერლიმის ბავშვობასა და სი-კაბუკეზე, სამწუხაროთ, ისტორია თით-ქმის არაფერს ამბობს. სად მიიღო პირ-ველ-დაწყებით სწავლა, სად განატარა დღენი პირველი, — ყველა ეს წყვდი-ლითა ას მოუკული. კეშმარიტია მხო-ლოდ ის, რომ სვიმონმა სემენარია და-მათვრი ქ. სტაციონალში და სამშო-ბლოში რესერიდან მოგვევლინა.

სვიმონი ვითარცა ერის კაცი. ერის-კაცობაში სვიმონი ისეთივე პირ-

ველი იყო, ზოგადი ტემპერა- დელ-მსახურებაში. რუსეთი- დან დაბრუნებული და მაღალ განვითარებული ქაბუკი და-ინიშნა პედაგოგათ სენაკის სახნაურო სკოლაში. აქ მან დაჲყო ხანი მცირედი, რად-გან მიღრეკილება პედაგო-გიური მოღვაწეობისადმი იძ-ლეოდა სასყიდელსა არა მრავალსა.

გახსნა სარდაფებისა.

სენაკიდან სვიმონი წარ- მართა ფოთისაცენ, სადა გა- ნაღო დაწესებულება სავა- კრო და ვერა იხილა რა ხე- ირი, უკუ იქცა მუნით და მორიგრაგნა ქუთაისიდ, სადა განაღო სარდაფი ლეინეგულ ობისა აღსავს რუმბებითა და ტრი-ტიკვორადებითა.

მას ჟამსა შინა ხშირად უხილავთ მცხოვრებთა იმა ქალაქისათა კაბუკი სვიმეონი მოქეიფეთა ძმა ბიჭთა-თანა ღოშლულურითა ხელი-ხელ გადაქდობითა და არლითა წინა წამდლეარებულნი მი- მავალნი სალორიისა ტყედ, რომელი იმყოფების მახლო- ბლათ ქალაქისა მის.

ხანა ესე იყო უმეტეს სანე- ტარო ცხოვრებისა მისისა.

დახურვა სარდაფისა.

მაგრამ მაცდელი ჯოჯო- ხეთისა, ეშმაკი ჩაერია საქმესა კეთილისა და აუმღვრისა ცხოვ- რება-კეთილი მოვაკრესა მის.

გადაშალებს რა დავთრები თვისი, აღმო- ჩინეს განვლინება ქანქართა თვინიერ დავთრისა და მწუხარე იქნა ამხანაგი იგი სვიმეონისა და განეშორა მის, და წარ- ვლინა სვიმეონი იგი სოფლად მამისა თვისისა მიმართ, რომელი სცხოვრობდა სვირად, მეგრელისა დიდისა.

ქორწინება სვიმონისა.


ეამსა სვირად ყოფისასა, სვიმონი ყუ- რად-იღებდა ჩემებასა მამისა თვისისასა, რომელი ანუგეშებდის მას მწუხარებისა შინა მყოფსა, მგლოვიარესა სარდაფია ზედა და ურჩევდის მას ქორწინებასა და მღვდლით აღკვეცასა. და ი გავლენითა დიდითა გონ-მოკრებილი, სვიმონი ჩვენი მწუხარე ეშვევა უკანასკნელია აქტისა სა- რო თვისისა მოღვაწეობისასა (ტერმინო- ლოგიითა ფ. გოგიაშვილისათა) და იწერს ჯვარს.

აღკვეცა მღვდლათ.

შემდგომად ამისა სვიმონი კვალად შთაგონებითა მამისა თვისისათა ხელ და- სმულ იქნა მოძღვრათა და მესაკურთხე- თა, რითაც ბოლო მოელო საეროსა მის- სა მოღვაწეობასა.

წოდება მეთვალყურისა.

პაღვალსა ზედან გამცვლელი პედაგო-



### ქალაქებუთა ოანასწორობა.

**ორათორი ძალი.** მოგიწოდებთ ყველა მამა-  
კაცებს, მხარი დაგიპიროთ ტანჯულ ქალებს,  
ჩვენ უფლებათა აღდგენა-გათანასწორებაში.

**შეხვედრი.** ვაშ! ვაშ! ჰეშმარიტია, ჰეშმა-  
რიტი!

**ორათორი ძალი.** მოგიწოდებთ ყველა მამა-  
კაცებს, მხარი დაგიპიროთ ტანჯულ ქალებს,  
ჩვენ უფლებათა აღდგენა-გათანასწორებაში.

**შეხვედრი.** სისულელეა! ძირს! გაეთრიეთ  
აქედან!..

გიური მოღვაწეობისა ქაბუკი სეიმონი,  
შემდგომად კურთხევისა დინიშნა სკო-  
ლათა სამრევლოთა მეთვალყურეთ, ეამსა  
რომელსა კვალიდ იჩინა თავი ქან ქართა  
უანგარიშო წარვლინებამან. მაღალ ხა-  
რისხოვან და ლიდ-მნიშვნელოვან არს  
მოღვაწეობა ესე სეიმონისა და თუ არ  
ხანა „წყეულისა“ ერთობისა, სკოლანი  
სამრევლონი მიაღწევდენ განვითარებისა  
წერტილსა უმაღლესსა.

**ერთობის ხანა.**

კეთილი ბუნება სეიმეონ ხუცესისა ვერ  
შეეთვისა რა „წყეული“ ერთობის მოთ-  
ხოვნათა სიმწვავესა, მსწრაფლ იჯმნა სო-  
ფლიდან და მიიქცა კვალიდ ქუთაისად  
უკუნითი უკუნისამდე.

**ცდუნება ეშმაკისა.**

მამა სეიმეონი, უამსა მას შინა, დიდი  
მოსურნე იყო სისულიერო პირთა არჩევ-  
ნებით შემოღებისა, რასიცა ქართველი  
სამღვდელოება „ავტოკეფალიათან“ ერ-  
თად მოითხოვდა სინოდისაგან. და აი  
ეშმაკა კვალიდ განიზრახა ცდუნება სეი-  
მეონისა. იმერეთის ყოვ. სამღვდელომ  
თითონ დანიშნა ბლალობინი ერთი თვი-  
ნიერ იღრჩევითი წესისა და ბლალობი-  
ნია დანიშნულმა „ზევიდან“ განაცხადა  
გარი ქვევიდან, ვითარცა მომხრემან „აღ-  
რჩევითი“! წესისამან. დასასჯელიდ ბლა-  
ლობინისა ურჩისა, წაერთო მას ლირსება  
ნაბოძები და მიეცა მამა-სეიმეონსა, რა-  
მელმან მიიღო მოწყვალება ესე ურცხვო-  
ბითა თვისითა. მაგრამ ელირსა რა სამ-  
ღვდელოება წესის მას „აღრჩევითსა“

უმალ განძევებულ განდევნილ იქმნა ბლა-  
ლობინი ესე სეიმეონი ბრანწითა დიდითა  
იმერულითა და განიხარებდის სატანა  
მაცდუნებელი მისი.

**სეიმეონი რედაქტორი.**

უმთავრეს ყოველთა საქმეთა სეიმეონ  
მომღვარსა განიტაცებს საქმე იგი მწერ-  
ლური. მეოხებითა მისითა და მაგვართა  
მისთა, გამოიცა ქუთაისად გაზეთი ფრიად  
კლერიკალური, ღასავსე სიბაძნითა სუ-  
ლიერთა მიმათა ჩვენთა. მუნ იხილავთ  
ცნობილთა პოვეტთა სულიერთა და სხვა-  
თა ცხოველთა, გარეშე მაიმუნისა, რომ-  
ლისა შიში დიდ არს მათ შორის.

**სიტყვა და საქმე.**

განსწავლულნი მეცნიერებითა სემინა-  
რითათა და სხვათა მრავალთა საგაქრო  
დაწესებულებათა, რედაქტორი „შინაურ  
საქმისანი“ რისგად მოვლინენ მეცნი-  
ერსა მას დარცინად წოდებულსა, რომე-  
ლი იტყვის: „ძენი აღმიანისანი არიან  
შთამომავალნი მაიმუნისანი და არა ქან-  
დაკებანი თიხისანი, თანახმად თქმულები-  
სა მოძველო ისტორიისა“. მამა სეიმეონი,  
გაზეთსა შინა თვისისა სიტყვიერითა უსუ-  
სურობითა თვისითა „არღვევს“-რა თეო-  
რიისა დარცინისასა, მოქმედებითა თვისი-  
თა რეგნულითა, კვალიდ და კვალიდ  
ასაბუთებს თქმულებასა დარცინისასა და  
იძლევა უტყუარსა მაგალითსა მაიმუნთა  
თანა თვისისა არა შორეული ნათესაო-  
ბისასა.

### ალექსი ქურნალისტისა.

(3. გოთუა და ვან-ბრანდტის ძალი)

**Новости Закавказья:** (ინტერვიუ) ვან-ბრანდ-  
ტი გილიმა და კბილები გამოიჩინდა. კბილებზე  
არავითარი დაქანცულობა მას არ ემწეროდა.  
ბაგაეს ალარ იტყვით? ოცი ფუთი ბაგაეს ჩამა-  
უტანია თან და წარმოიდგინეთ, დაქანცულობა  
მაინც არ ეტყობა და სიცილის დროს ყოველ-  
თვის აქეს ხოლმე კბილებს.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო, ეს ვან-  
ბრანდტის ძალია. საუცროვო „ტოლერერის“  
ჯიშის ძალია და წარმოიდგინეთ, სახელადაც  
„ამორე“ ჰქონია. ასეთი განსაციფრებელი სი-  
ლამაზისა და გასაცარი ჰქონის ძალს კაცი  
ვერსად შეხვდებით. ის პირდაპირ მომჯადოებე-  
ლი სილმაზისა და წკმურუნიც მომხიბლავი  
იცის. ყველა ამასთან უნდა იცოდეთ, რომ სივრ-  
ძით მხოლოდ 18 სანტიმეტრი და 7 მილიმეტრია  
და კულიც კი არია. და ამას უნდა დაუმატოთ  
ისიც, რომ ძალი „ამორე“ ინგლისის კაროლის  
ნაწერია და მაშინ გაიგებთ, თუ რა ლამაზი  
იქნება ის. აწვენენ „ამორეს“ ცალკე თაბაში და  
ცალკე ლოგინში, რომელიც მორთულია მრავალ-  
გვარი სამაკულებითა და სხვა და სხვა და სხვა.  
ერთი სიტყვით, ვან-ბრანდტი ძლიერ გარგი  
მომდერალია და არც დაქანცულოვა ეტყობა.

**შებრძოლება კანტისა და ლაპლასის  
მიმართ.**

„დაამარცხა“, რა მეცნიერი იგი დარ-  
ვინი და დამტკიცა რა ნათესაობა მარ-  
მუნთა, სეიმეონი ეკვეთა ბასრითა კალ-  
მითა თვისითა კანტისა და ლაპლასისა შე-  
სახებ მსოფლიოს ალორმანებისა, რომ-  
ლისა გამო დასწერა მან საუკეთესო ნა-  
წარმოები თვისი „იქი-ბოქიად“ წოდებუ-  
ლი. შემდგომად იმისა კვალიდ სახელისა  
მოსახვეჭად და დასამკეიდრებლად სასუ-  
სულებისა, წარმოსთხვა აზრი ფრიად „ბა-  
კური“ შესახებ ცოდნა-განათლების სა-  
კიროებისა, რომელისა მოვიყვანთ სრუ-  
ლად:

„ნუ გვატყუებთ და ვერც დაგიჯერებთ, რომ  
ცოდნა აღმიანს აკეთილშიბილებულებს. გახედეთ  
კაცობრიობის ისტორიას და თქვენ დაინახავთ,  
რომ ვანც უფრო დიდი ცოდნის პატრონი იყო,  
უდიდესი მყვლეფელიც იყ.... დაგანებოთ თავი  
ზევრ მაგალ თებს და მოვიყვანოთ თუნდა სენა-

ტორები, პარლამენტის წევრები, გაელენიან გა-  
ზეთის ოდაქტორები, საზოგადოდ დიდი ნიჭისა  
და ცოდნის პატრონები და საერთოდ ავზაკების  
ბრძო!... (ვ. 50—51).

კუჭი სვიმეონისა.

საზოგადოთ და უწინარეს ყოვლისა  
კუტი-მოძღვართა ჩევნთა, არს დაწესებუ-  
ლება ფრიდად საზოგადო მრევლთაოვის  
და ცნობილ არს დამოკიდებულება კუტ-  
სა და თავსა მოძღვრისა შორის უშეტეს  
მჭიდრო და საგრძნობელი, ვიდრე ნათე-  
სობა მათი მაიმუნთადმი.

მამა სვიმეონი, ოოგორუც საზოგადოთ  
მოძღვანელი ჩვენი, მსახურებს მხოლოდ  
ზნეობის გასაფაქიზებლიდ და არა ხურ-  
ჯინისათვის. სარდაფში ყოფნის დროსაც  
ის მხოლოდ სულს ემსახურებოდა და გა-  
ფლანგული ფული, ცნობითა ეშვაკისა-  
თა, შესწირა მან გლახაჟთა საქმესა. დღეს  
სვიმეონი ესწრავთვის დეკანოზობასა საკ-  
რებულო ტაძარსა შინა და უკვე დამსა-  
ხურებულისა და ოვაწლ-შემოსილი თა-  
ვითა ბევრს დაუმკვიდრებს სიიქიოს სა-  
სულთნებოსა.

ექს-ისტორიკოსი.

## გურული სტენა.

ՅՆՈՒԹՅԱՆ ՀՐԱՄԱ

(აზნაურის ქერივი მიღის ობრგეთში აფთეკაში  
და ემუსაიფება ყოფილ ქალაქის თავს ბ-ნ ვასილ  
ხუნდაძეს).

— დედა ნუ წამიშვება, მამა მიცხონდება ამ-  
დენი რომ მეყურყუტებია თვითონ ხელმწიფეს  
ვნახავდი, დედოფალს ვემუსაიფებოდი.—ძვილათაი  
არ მოორსა შენი ნახა წიმო ვასოლ!

— რა გნებავს ჩემო დაო, აღრე თვარ მითხა-  
რი ძე გიაჩლები საჭმე მაჭის.

— რა იქნა ოჯორ, საქმე რომ გაქ მეც იმიზა  
შევეღი — საქმის კაცი რომ ბრძანდები საქმის გა-  
კეთებაც იმიზა შეეიძლია თვარა სხვასთან რა  
პინდოდა... საქმის კაცი ბრძანდები — საქმეც ბეჭ-  
რი გაქ ფული და სიმღიდორე, კაი ცოლი და  
კაი შეიღები, ღმერთმა გაჩუქოს და გიბედნიე-  
როს, იგინის გაზღიუთ შენი გული გაამხიარულოს.  
ადესის ქალაქში შენისთანა ბიჭების სტრი სტუ-  
რენტები არც კია თურმე, შენი ქალი შეიღილია —  
ხემშიფე ვერ დერწუნებს რძლათ, ღმერთმა კაი  
ბედი მისცეს, ცოლი — გყავს და ღმერთმა შეგა-  
ძეროს ყოფიერია, უნცროსი გოგოა — მთლათ  
ანგელოზია. გვარი კაი გაქ და გუჯაბი, აფთევა  
ერთი, აფთევა შეორებ, ჭური და მამული, ჩასაფოი  
ჰიზეპარზე გყავს დამდგარი გენერალსავით, ქალა-  
ქის თავი შენ ბრძანდები და რავიც რამდენი  
ჩასაფითა ამ ქვეყანაზე...

— თქვენ ბატონი იგი მიბრძანეთ რა გნებავთ?  
— მეიცა, ყმაწვილო რა მნებავს და შენი სი-  
ცოცხლე, შენი კარგათ ყოფნა, შენი დღეგრძე-  
ლობა. ბებიავ ძლიბლიან თვალში იმიზა გაკა-  
ცებ კვერი ჩამიგდეო, შენ ჯვარი გწერია მარა  
სიტყვაზე ასე იტყვიან. შენ რომ კაცი ხარ, შენ  
რომ ქვეყნის უკეთესი ხარ რაცხა ჩემისთანა  
ქრისტის და გაჭირებულსაც უნდა მოხთეს შენი  
ნაშენი... ჩენი სისხლ ხორცი ხარ (მიიხედ-

( კაბახსავით უნამუშო კი არ უნდა  
იყო მასავით ძალის ხორცი კი არ უნდა გა-  
მეისხა, შენ კეთილშობილი ხარ აზნაური ბრძან-  
დები და მეტ ასე, საწყალი კი ვარ მარა რაც  
უნდა ძალი კუდით მიმართევდეს პატივი შენგან  
მამითხოვნია მაინც შენი ნაჭერი ვარ, მაინც  
შენი სისხლის ვარ. ცხოვებული ჩემი ქმარი რომ  
კტებოდა ღმერთმა მისი დანაკლისი დღე შენ  
შეგმატა—სული რომ ხთებოდა ასე დამიმოწმა:  
კი ვკტები მარა იმედათ ნუგეშათ გაჭირების  
დღეზე სახსენებლათ გასილს გილიებო ყორისფერ-  
ლობამდი—ჯვარი გწერია რატუმ იყალრებ (გვი-  
ლიმებს) ასე დამაბარა ჩემს მაგიერობას ის გიქ-  
სო... ავთ იყო თუ კარგათ იყო ამტენბანს თა-  
ვი ისე მევიტანე არც კაცი შემიწუხებია—ახლა  
კი უნდა შეგეხვეწი და ჩემი ხათრი თვარ გაქ-  
მიცვალებულს უნდა სცე პატივი და შენდა სა-  
ქებ-სალიდებლად შენდა სასახელოდ, ჩემდა არც  
ამას გვეხვეწი, არა შენ რომ დაგვევნდება ისე  
რაცხა ჩემი ბიჭის უნდა გამიკლიო... გოროდის  
კლასი გაათავა მერე გრიაზნოვთან მყავდა აფ-  
თეკარის უჩენიკის ეგზამენი დეიჭირა... ახლა შე-  
ნი მუხლის ჭირიმე შენ ქვესკნელში რაა იგი  
იყი შენ თვითონ მისხები რაცხა ადგილში უნდა  
ჩამანი შნიო.

— აგი ყორიფელი კაია მარა მე ახლა აფთე-  
კაში აღგილო არ მაქ?

— ნუ შამომყარე გულზე შენი ჰირიმე. ადგი-  
ლი რამ წავაროვა, შენ თუ ადგილი გაკლია-  
ზლვას ქვიშა კლებია. შენ ჩანიშნე აფთეკის წიგნ-  
ზი კოლია სარდიონიჩ შავარდნაძე ჩემთან არის  
თქვა და მეტი აფერი უნდა, მერე ბიჭს შენ თუ  
კი იკადრებ თუ გინდა გიღელი აცვლი მის  
დრომდი, მისი დროი მუა და ატესტაცი მიეცი,  
თუ კი მეინდომებ აგი რაგა არ შეგიძლია?

— არა ჩემო დაო მაგი პადლოგია მე ამფერ  
საქმეს ვერ ვიკ, უნ მე რომ გირჩევ ისე ჰენი—  
ახლა აგერ ახალთაობის კაცები მე მცველიან და  
ქალაქის თავათ ბებურა ბებურიშვილს აყენებენ,  
იგი პირდება ქალაქს აფთექის გახსნას წადი იმას  
შეეხვეწი და ახალ აფთეკაში ადგილს შეეგინახავს,  
უჰენიკობას კი არა პროფიზორობას მისურგოს.

— სუ ოჯო, რაფერ გშვენის ხუმრობა აა?!  
ბებულას ქალაქის თაობა ვინ გიგონა. შენს

ქავთესი ქალაქის თავი თფილის არ ეყოლება,  
მე იგიც კი შევიტყვე ტამბაჩოვს თურმე ადესის  
ქალაქის თავათ უნდოდა ვასილი მარა ვარი  
თქვაო, რასაკირევლია ვისაც თავისი სამშობ-  
ლო უყვარს იმას რავა მოსცილდება... ავია თუ  
კაი აგი ოზურგეთი მაინც შენია—ნუ მეიძულებ,  
შენი ხელით უნდა გამშენიერდეს... ბებურამ  
რა იცის შენი ჭირიმე ბლონწი აფიცერია, იქნება  
იმის იმედი აქ ახლა რედაქციაა, აფიცერი ვარ  
და იმიზა ყორიენელი ვამიგაო... ყორიენელს გე-  
იგონებს კაცის ყური, ბებურაის ქალაქის თავო-  
ბა ვინ თქვა, ნალევო ნაპხავოს მეტი ნარდის  
და კარტის მეტი სახუმრო გაცინების მეტი მი-

ლუდეინი ასაქურებით გუვერნიორი და აქ გაკაცებულ  
საფლავში იმშიორება? მე მაინც არ მივალ იმას-  
თან თუ გინდა, შენი ბრძანების არ იყოს, ჩემს  
შეიღოს უჩინიერობა არა პროცეზორობა მისცეს...  
ისევე შენ ჩემო ვასილ, რა ვენა მე რა მაქ რა  
მოგაწონო რა დაგპირდე ქვრივმა და ობოლმა  
კიდევ რაცხას დაგპირდები სულ რომ მისი არჩი-  
ვი მიწა გამჟყიდა გავყიდდი და მოგართმევდი,  
მარა შენი სიპატიოსნე კაცს ჭრთას რუა შეე-  
კარლებ. ისე მიშველე შენი ჭირიმე და სამკრო-

სასიცოცხლო მიღები დუგვიწყარი და მიწოდები  
ჩი გადუხდელი ვალი დაადევი შენ კესარია შა-  
ვარდნაძის ქვრივს კინაუნა გუგუნავას ქალს.  
შენ თუ მიწოდომიდ შენი არმოვთ აუზრია აფ-

(გივე ბებურასთან იმ: ვე დღეს).  
— ბებურის თავი მიკოცხლოს ღმერთმა მიღ-

— ღმერთმა გადლეგრძელოს, უკაცრავათ კი  
ნუ ვიქწები და ვერ გიცანი—ნება მიბოძეთ გყით-  
ხოთ ვისთან მაქს ბერნიერება მუსაიფის?

— რეტუ იყალღევ, შენი ჰირიმე, შენ კი არა  
მე ვარ გელინიერი — მე ახლა რა საკითხავი ქალი  
ვარ. შენი ჰირი შემძიებოს, მიწინა და აკმადგე-

յան, այս ուստի պայմանութեան, ցանցից դա ցայցուց-  
ծվուու, ուստի հիշեց նացաւսացաւաց կո նուցեցցեմուտ  
յրտմանցուն, մը ծարուու տէցեցն մոնու ցամշլցլուն  
ծուցրանուն կազմակերպու ծոնութշունու, հիմն յուրի՛լունք  
(զար ու մաս գունունքնեա!) մապրաւաց կո ծրագնց-  
ծուուտ մապարու առա պորուցցելու և կոյցու ոյսացո  
թենուտանու զոն ուղար, պոլու կալու թէց ցայտեց-  
լուում մը հաւա սացուտեացու և հաւա թուսեմարո  
վալու զար ուղար ուստի կայսարու թացարնանուն յշրու-  
ցու կնույն ցայցնացաւ վալու ցաթլացաւ.

— Э! Это я виноват, я не знал, что вы пришли. Я был занят макаронами и толумбашомъ. Да, я был занят макаронами и толумбашомъ.

— ბრძანებამ ჯვარი დაგწერა თქვენს ბრძანებას ვინ გაბედავს მოელი გუბერნია მის ვეზ-დიანებ თქვენი საბანებელია — ან თქვენი სამსახურის ღირსი ვინ არის მე ისე სათხოვრათ მოვედი და რავარც თქვენი იმედი მაქს იმედია ისე მიმიღებთ.

— რას მიბრძანებთ ქალბატონი მე თუ კი  
რამე შეგმიძლია თავს რაცა დავზოგავ.

— თქვენ რომ არ შეგიძლია იგი რაა ქვეყანაზე, ნამესტნიერ თქვენდა დუჟკითხავათ აფერს შობა და გუბენატორი, ვეზნი ნაჩანიკს ზომ რუაც გინდა ისე არონიებ პრისტავები აბა რა სახსნებელია... მე შენი ჭირი შემყენაროს ბევრიზა აფერიზა შეგაწუხებ სულ ერთი დერი ენა მჭირია შენი და იმედი მაქ ერთი დერი ენის მობრუნებას არ დამატაოლი

— ბრძანეთ ქალბატონო რაშია საქმე?

— ღმერთმა ბრძანება და კარგათ ყოფნა ნუ  
დაგილიოს... მე ბატონო ქრისტი ბიჭი მყავს აქანაი  
ხუცების კლასი გაათავა მერე თელორე კიკვაძეს  
მუმზადები და დემნაზაში აღთვეკარის უჩენიკის  
ეგზამენი დეიჭირა, თქვენ ახლა იმას გოხვო...  
საწყალი ჩემი ქმარი რომ კტებოდა. ღმერთმა  
მისი დღეი თქვენ შეგმატოს, ასე მითხრა ნუ გე-  
შინია კესარია ობლის მამა ზეცაში ღმერთიაო  
და ძირს თუ რამე გუშტირდება თღონდ ქნი  
ქალობა ბებურ ბებურიშვილს შიარყობიერ  
და იგი კი უპატრონებსო, ამდენ ხანს აგათ იყო თუ  
კარგათ იყო არე კაცი შემიწუხებია ახლა ნამე-  
ტარი გამიჭირდა გაშუხებ მარა იმედია მაპატიებ...  
იმას გვევდრები ოზურგეთში თქვენი წყალობით  
მორე აფთეკა რომ გეიხსნას იმაში ჩამინიშნე  
უჩენიკათ... შენ ყორიფელი შეგიძლია ხემწიფეს-  
თან მიობოლო ბძანდები.

— მე ჯერ, ჩემო დაო, რა უნდა გითხრა ბავში  
არ იყო და აბრამს ათქევდენო ისე ხომ ვერ  
გიძ—ჯერ მე არც ქალაქის თავი ვარ და არც



აფთეკა არის აბა რა უნდა შეგპირდე. ვასილი უნდა გენახა ის ჩანიშავდა აფთეკაში ამას რა დიდი ამბავი უნდოდა.

— რა მოგახსენო ბატონო ბებურ იყი, გაჭივ-რებული ვარ მარა ისე ღმერთმა ნუ გუშტივროს კესარია გუგუნავას ქალს, რომ გუშინდელ მუჯ-უქს ვასილას ვსთხოო რამე, ერთი იმიზა არ ვსთხოო რომ მართალია კი აზნაურია მარა ახალ ნაშუარი აქ, მეორეც სა მაქ ამის გასაძლომი ქრთა-ში ქვაი ჩასკრა მუცელში! მესამე მიზენი ყვე-ლაზე უფრო საპატია მისას რომ მივიდე და გვიხმო ველაპარაკო ვინცხა მისი ამხანაგი, მა-სავით ხულიგანი ვეგონგი—მისი ხულიგანობა მის გიშეარზე შეეტყობა გენერალსავით რომ ჩა-სავით ყავს შიხენილი, იგი თუ კი კაცი იყო იყოს მთავრობის უნდა ეშინოდეს თვარა ხალხის მე რომ ქვრივი ვარ მე არ შემთხვებია. კარიზა გა-დარაზი არ გამიყრია ისე მძინავს... უკვენ რა-ვაც გინდა ისე ბძანეთ ჩემდენი პაუს ნეკის ფხილში გაქ მარა მე კი ისე ვიტყვი ჩემი სუ-ლელი ჭყუით იგი კაცი აფერი სანდოა, არ არის ვინც მთელი ქვეყნის მუცელში ჩაგდებას მოინ-დომებს. აფთეკა იმას, აცუკის მაღაზია იმას, ქალაქის თავობა იმას, ბერიძის სოული იმას, ხუნდაძისოული მას, გოგირიძის მიწა მას, პასკის ყიდვა, საპონის კეთება მას და რა ვიცი რამდე-ნი რამე... ამდენი საქმე ქონდა კიდევ ქალაქის თავითას ვიზამო და იგი იყო ქე გადააბრაწეს თავზე. იმის მაგიერ რომ რაცხა ხმაი ამოიღო კრილოვს მაღლობა მიართვა კა ქენია, ამფერმა კატა თლათ რომ გამაკეთოს მისი რავა მინდა რამე...

— რა მოგახსენო ქალბატონო, თუ ამირჩიეს ქალაქის თავად და თუ დამამტკიცეს ვეცდები აფთეკის საქმეს და თუ ადგილი დარჩება ვიქო-ნიებ სახეში თქვენს ვაჟს.

— აგირჩევენ, შენს უკეთეს ვის ერთხევენ შენ აქანი მომწვარ ოზურგეთში კი არა პეტერბურ-გში ვარგხარ მარა შენი აქ სამშობლია რაც უნდა იყოს და შენსა უნდა წადგე რაც შევი-ლია და გეფიცებით დაგამტკიცებენ აბა რას იზმენ, ჯვრით პოლეტებით გაქ გატენილი გულ მკერდი, მარა აგიც კი ახლანდელ დროში აფერი გასაკვირი იქნება ქე გიდანოსონ რამე, დაწეს არ დაგანცხებსა იჩილონ—ისე შენი სახელის ჭირიმე, უკველ შემთხვევაში გქინდეს სახეში— თუ რამე იქნება პირველი ადგილი ჩემი შეილის უნდა დარჩეს... შენი უქნელი რა ქვეყანაზე და შეც შენს იქით არსად წამსვლელი არ ვარ, მომკლავ შენ, მომარჩენ შენ?!

(წალაპარაკებს თავისოფენი)

ღმერთმა ორივეს თავი მომთხოვა ვასილაისაც, ბებურაისაც, აღმართი დაღმართი არც ერთია წაღმართიო. ერთი შეწვი მორე შეცხე. ჩემდა თრივე ერთია თრივეს ტირილზე გაძეხი. ამ ბი-ჭის საქმე კი გაწყვება რამე და მერე ერთი გა-მიცვდა და მეორე გამომეშვაფა.

პიტნა



## ამბები პროვინციისა.

**სამტრედია.** რამდენს არა ცდილობენ ჩვენი პარიქმახერები კვირაში თორმეტი დღე მაინც გამოიყვანონ, მაგრამ სულ ამაოდ, ათზე მეტი მაინც არ მოხერხდა და არა. ან კი რას იზამ, ანდაზა ამბობა: უფეხები იმდენზე უნდა გასკიმო, რომ საბანი გეყოსო, და ესენიც ცდილობენ შეგირდებს ისე გააკიმინონ ფეხები, რომ ქანქარი ეყათ.

არც მეღუქნები არიან მადლიერი ქველი ამბებისა. აი მაგალითად, ერთ დროს „ფოთის ქარხნიდან“ ძლიერ ია-ფათ შემოჰკონდათ ჩაი-შაქარი და სხვა სანოვაგეები. ექსპორტიონი ბ. მელიტო საყოველთაო ნფარველობის ქვეშე იმყო-ფებოდა და ის კი არა, ამბობდენ: „რო-გორც ერთობის კაცს, ისე სდევნიან, თორემ ვინ რას ერჩისო“. ახლა კი; როცა მელიტო სამტრედიას დაუბრუნდა, ხელები გაიქნამოიქნია მიწის შესახებ, უკველანი ისე უპასუხებენ: „შე კაი კაცო, ეგ მიწაც ხომ ფოთიდან არ ჩამოგიტანია, ეს ხომ სამტრედიელია“. არც მეტანება ბაზრის საქმეა საკეთი-ლოდ. არ იქნა და არა, ერთი მკვიდრი ადგილი ვერ გამოუნიხეს. ვერ უშეველა ვერც მაზრის უფროსის ჩამოსვლამ. ახლა ფიქრობენ, ისევ რიგ-რიგობით უკველა ეზოებში გამართონ, თუ ამაზე ბ-ნი მე-ლიტო დაიყოლიეს.

## პურიშქევიჩი.

**დიდი ჯიხაიში.** მათ ეშმაკო! არას დროს არ ყოფილხარ ჩვენში ისე საკი-რო, როგორც ახლა, მავრამ ვაი ჩვენს დღეს, რო საშინელი ტალახებია და ვერ გამოატან. ლამით მაინც ხომ შეუძლე-ბელია მოგზაურობა და დღითი ათასი მახის დამდგმელი შეგხვდება. ჩვენი მამა-სახლისი ივ. ვაშაკიდე ზის ძმაო, თავის-თვის კანცელიარიაში და „უალობებს“ არჩევს. შეიძლება, ამის გამო იყო, რომ ბ-ნ მამასახლისი მის მიერ წამოყენებული კანდატები, აკაკის იუბილეზე გასა-გზავნათ (ქ. ლორთქიფანიდე და ს. ბი-ბილეიშვილი) ჩაუშავეს და მათ მაგიერ თავისი დელეგატები გაგზავნეს.

სიმართლე გითხრა არც სტრაჟნიკები იწუხებენ თავს საქვეყნო სამსახურზე და თუ დრამის ფულისა, ან სხვა რომელიმე გადასახადის აკრების საქმე არ შეფერხდა, ისე თავს არაფერზე აიტკივებენ.

ასე ძმაო, საქმე და თუ ჩამოხვალ, შენ იყი.

## ფოსტალიონი.

**ბათუმი.** დიდო ეშმაკო! შენ უშეველები ლათ მოგეხსენება, რომ ბათუმის ქალაქი გამოერიცხა ჯოჯოხეთს და თავის ქუჩებს ლამ-ლამობით ელექტრონით ანათებს. ეს ელექტრონი გამომდინარეობს იმ სადგუ-რიდან, რომელსაც ერთი ფრიად ჯო-ჯოხეთური ინუნდერი განაგებს. ის ძლიერ ეშმაკი კაციც არის და კანტორაში რომ უხვიდე,

ის იქ დაგხვდება უთუოდ, დაფიქტებული, მდუმარე...

„სადურმიშხანო“ საქმისთვის სტოლისა გვერდით მჯდომარე.

ზისა და ფიქრობს ხოლმე, მაგრამ იცოდე, რაზედ ოტკივებს თავსა?! შენ რომ ეს იცოდე, უპირველეს ადგილს დაუმტკიცებდი მას ჯოჯოხეთსა შინა, მან, ბატონო ჩემო,

ორი მუშა ამ სადგურის გარისხა და გააქცია, (თითქო იმათ დაედვინოთ: ააფეთქონ ეს სტანცია), ამ სიცრუით დააჯერა უპრავა და პოლიცია და სამდურავს ვერ აუხვალ თუ მისთვის არ მოგიცხია.

ყოველ შემთხვევაში, ამათ გარდა კი-დევ ნახავ ამ სადგურში ორიოდ კაცს, რომლებსაც დიდ სარგებლობას მოუტანს შენი მათრახის ლექრაცია. ერთი, ძმაო, მესკლადე და მეორე კი მისი თანაშემწევ.

ესენი ერთი-მეორის მოკაშირე პიკებია...

მაღლი აწაპნ-აქუცვისა მათ მაღლით მინიკებია, სკლადიტან საპონ-ბრეზენტი სახლშიგან წანალებია, ამ ვაჟბატონებს უპოვნებს საწოლ ქვეშ დანადებია. შენც გააწვინე ლოგინზე ანაწაპნავი გუასითა და ისე მისცე მისთანი, ქვა ასროლინე კუდითა.

თუ მოგესურვოს, უპრავაშიაც შეიარე, რადგანაც იმათაც კარგათ იციან, რაშია საქმე, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ და მათ უყურადღებობას შენ მიაქციე ყურადღება.

## როსტევანი.

### განჯა.

სიზმრათ ვნახე, რომ ეშმაკი, განჯაშიაც მოსულია და მათრახით დარეოდა, ვინც კი ამის ლირისი იყო. ჯერ ესტურალეგრა განაგებს,

ანგარიში მოსთხოვა მას:  
 ამდენ ფულებს სიღვან იგეპს...  
 ტყვილათ გამვლელს რათ იქირავს,  
 არომ არმევს პასპორტებსა,  
 ჭურდაცაცებს რათ ინახავს,  
 ბელს რათ უწყობს შანტაჟებსა.  
 ის-ის იყო, რომ მოხელეც  
 საპასუხოთ გინემზადა  
 და მათრახიც მოხვდა ზურგზე...  
 ეთქვა რამე, არ დასცალდა.  
 ეს საქმე რომ მოითავა,  
 შემდეგ სხვები ინახულა,  
 ისეთები რამე ნახა,  
 ენითაც კი რომ არ თქმულა.  
 სახლს „სასტუმრო“ აწერია,  
 ფიქრობს, შევა მოისვენებს  
 და რა იცის თუ ამ სახლში  
 ასეთ რამეს გაიგონება:  
 ეს . . . . . ჩემი არი,  
 შენ მეორე წაიყვანე...  
 არ იქნება... კი იქნება...  
 ბანკი... ტუჩი იყვანე...  
 ეშმაქმა თქვა: აქ მათრახი  
 არც კი იყო მოსატანი,  
 ბევრიც მოცხო, ვერ შეიტყობს,  
 მათი სქელი ზურგის კანი.  
 გამოვიდა ისევ გარეთ,  
 მოიხედა ცოტა განზე,  
 — „ჩა, რძე და შოკალადი“,  
 წაიკითხა დუქნის კარჩე.  
 „ჩა მართლაც კარგი არის“,  
 გაიფიქრა გუნებაში  
 და შევიდა, ისე როგორც  
 მისპინძელი თავის სახლში.  
 აქ მან ნახა თავმოყრილი,  
 თუ კი იყო სადმე მთვრილი,  
 თითო სქამზე ორი იჯდა:  
 ერთი კაცი, ერთი ქალი.  
 ვინ გინდათ, რომ აქ არ იყო  
 დედა-მიწის ცოდვის შეიღნი,  
 ერთ დროს ფხიზღით გამომყურნე,  
 დღეს კი ღვინით გაიღლენ თილი.  
 ეშმაკიც კი იცნო ბევრმა,  
 განიზრახეს დამალიდნენ,  
 შერცხვათ, რადგან წინათ თურმე,  
 ისინც კი „ეშმაკობდნენ“.  
 გულმოსული ეშმაკი კი  
 „გოროდისკენ“ გაემგზავრა.  
 და „გოროდში“ თუ რა ნახა,  
 შემდგა იყოს, დღეს ეს კმარი.

ლეონიდე.



ვერაფერს დამაკლებს, მაგრამ მაინც დამსვარა ამ წყეულმა.

### ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

(იმ სიტყვებისა, რომელებიც ქანქარის კა წყაროს წარმოადგენენ, კაჭრდიან, უკაკარდო და სხვადასხვა ჯურის მატლებისათვის.)

(მისახვა).

5

ნიხრი, ნახალოვკა, ნარდი, ნავარდი,  
 ნავთი, „ნიშადური“.

6

ობოლი, ოკეუნი, ოქმი (ზოლიციელ-  
 თათვის), ოქტომბერი (ზოგრომშიცების.)

7

პასპორტი, პრაგონი, პროსტიტუცია,  
 პროტოკოლი, პროკურორი.

8

უეტონი, უურნალი (თუნდასაკლასო),  
 უულიკობა, უძმი.

9

რევოლუცია, რეაქცია, რევოლვერი,  
 რეპრესია, რეკლამა, რეზინი.

10

სპერმატინი, სეპარატიზმი, „სკანდალი“,  
 საიდუმლო (შენახვასაიდუმლოსი), სა-  
 კურთხეველი, საკურთხი, საკვები თანხა.

11

ტარშინა, ტაინი, ტიკორა, ტიბიკონი,  
 ტრაქტატი, ტყვია.

12

ურია, უფროსი, უჩასტეკა, უსტავი,  
 უფალი, უწყება.

13

ფურჩული, ფაბრიკა, ფონდი, ფიცი  
 (ცრუ მოწმობის დროს), ფარდული (აბ-  
 რეშუმის საფაქროთ).

14

ქუჩა, ქოჩორი, (პრისტავი მიქიევი ებ-  
 ტერებოდა—კრეჭავდა).

15

ლალატი, ლალა, ლმერთი, ლონე, ლა-  
 მე, ლველი.

მაესტრო

გაქონდი, ესერი, ესდევი, ექსპროპრია-  
 ცია, ერთობა.

16

ზავოდი (წმიდა სანთლისა—მაგილი-  
 თათ), ზამთარი (მეშვეთათვის).

17

თამასუქი, თოფი, თოკი, თათარი, თავ-  
 ფეხი (ცრვებისა მოვდელთათვის).

18

იარმუქა, ირკუტსკი, ივერია, იუბი-  
 ლეი, ინგუში.

19

კაპიტალი, კაკარდა, კანტორა (თუნდ  
 საორბულო კასის), კარტი.

20

ლოკალი, ლუქმა, ლეჩებმი, „ლა-  
 პორტი“, ლუქი.

21

მარქსისტი, მრეწველი, მარკა, მრევ-  
 ლი, მხევალი.

ვოხოვთ პატივცემულ ხელის-მომწერთ  
 რომ „ეშმაკის მათრახის“ სახელზე ფულს  
 ნუ გამოგზავნიან, თორებ რედაცია ვე  
 მიიღებს. უნდა გამოგზავნონ თეოფილე  
 ბოლქვაძის სახელზე. ვისაც უკვე გამოგ-  
 ზავნილი აქვს უნდა შესცვალოს აღრესი.

